მწვანე ალტერნატივა
გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის საქართველოში

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები
შპს „RMG Gold"-ის საყდრისის საბადოზე კარიერებიდან და ფუჭი ქანების სანაყაროებიდან დრენირებული დაბინძურებული წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშის თაობაზე

9 აპრილი, 2020

წარმოგიდგენთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ გვერდზე საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნებულ სს „RMG Gold"-ის წყლის გამწმენდი ნაგებობების მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშზე. განსახილველად წარმოდგენილი ანგარიში თითქმის იდენტურია სს „RMG Copper"-ის წყლის გამწმენდი ნაგებობების მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშისა, შესაბამისად ჩვენი შენიშვნებიც იგივეა. კერძოდ:

1. ალტერნატივების ანალიზი
„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" თანახმად, სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ.

საქმიანობის განმახორციელებელი საერთოდ არ განიხილავს დაგეგმილი საქმიანობის ალტერნატივას. ასევე, დოკუმეტში არ არის შეფასებული ტექნოლოგიური და ადგილმდებარეობის ალტერნატივები. ნაცვლად ამისა, წარმოდგენილია უკვე შერჩეული ტერიტორიის აღწერა; ტექნოლოგიასთან დაკავშირებით კი აღნიშნულია, რომ კომპანიამ საერთაშორისო ტენდერის შედეგად უკვე გააკეთა არჩევანი.

ალტერნატივები შეფასებული არ არის გარემოსდაცვითი კუთხითაც, რაც სკოპინგის ანგარიშის მნიშვნელოვან ნაკლს წარმოადგენს.

2. არ არის მითითებული დაშორება საპროექტო ტერიტორიასა და უახლოეს საცხოვრებელ სახლს შორის. ანგარიშში ვკითხულობთ, რომ სოფ. ბალიჭიდან საპროექტო ტერიტორია მნიშვნელოვანი მანძილით არის დაშორებული. თუმცა, რამდენია რეალურად დაშორება არსად არ არის მოცემული.

3. ხმაურის ზემოქმედება - გათვლების გარეშე შეფასებულია მხოლოდ ცხოველთა სამყაროზე და მუშა პერსონალზე. საქმიანობის განმახორციელებელი საერთოდ არ განიხილავს ზემოქმედებას ადგილობრივ მოსახლეობაზე.

4. სკოპინგის ანგარიშში ცალკე ქვეთავის სახით არის მოცემული „**საშიში გეოლოგიური მოვლენების განვითარების რისკი**" - ქვეთავში წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „გამწმენდი ნაგებობის განთავსებისთვის გამოყოფილ ტერიტორიებზე 2019 წლის ბოლოს შპს „ჯეოინჟინირინგმა" ჩაატარა საპროექტო უბნების გეოტექნიკური კვლევა. კვლევის მიხედვით, ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ ტერიტორია მდგრადია და რაიმე მნიშვნელოვანი სახის საშიში გეოლოგიური პროცესების განვითარების კვალი არ დაფიქსირებულა." „გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურებას არ გამოიწვევს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში შემარბილებელი ღონისძიებების

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

განხორციელება არ იგეგმება.“ აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ რომ საქმიანობის განმახორციელებელი გზშ ეტაპზე არ გეგმავს გეოლოგიური კვლევის ჩატარებას და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას - რაც დაუშვებელია.

5. არ არის შეფასებული მოსახლეობაზე ვიზუალურ–ლანდშაფტურ ზემოქმედება.

6. არ არის შეფასებული სოციალურ გარემოზე ზემოქმედება.

7. ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედება განხილულია მხოლოდ დასაქმებული პერსონალის მიმართ.

8. ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე **კულტურული მემკვიდრეობის** ძეგლები არ გვხვდება შესაბამისად მათზე ზეგავლენა არ იქნება. ანგარიშში ვკითხულობთ „ტერიტორიაზე განხორციელდა არქეოლოგიური კვლევა. ჩატარებული კვლევის ამოცანას წარმოადგენდა ტერიტორიაზე არსებული არქეოლოგიური ობიექტებისა და კულტურული ფენების ვიზუალური მოძიება და დაფიქსირება. ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ მითითებულ ტერიტორიაზე არ დასტურდება კულტურული ფენები და არქეოლოგიური ობიექტები.“ - თუმცა, რა კვლევაზე დაყრდნობითაა ეს ნათქვამი გაუგებარია (კვლევის რა მეთოდი იქნა გამოყენებული; როდის ჩატარდა ეს კვლევა; რა პერიოდს მოიცავდა და ა.შ)

9. **ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება** - დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ „მიწის სამუშაოების შესრულებისას მცირე ზომის სახეობებისთვის გარკვეული საფრთხის შემცველია მიწის სამუშაოების შედეგად შექმნილი თხრილები/ტრანშეები. შესაძლებელია თხრილში მათი ჩავარდნა, დაშავება და სიკვდილიანობა. ხმაური, ვიბრაცია, ატმოსფერულ ჰაერში მტვრის ემისიები ასევე განათების ფონის ცვლილება გამოიწვევს ცხოველების შეშფოთებას და ისინი იძულებულნი იქნებიან დატოვონ ტერიტორია. თუმცა აღსანიშნავია, რომ ცხოველების შორ მანძილზე მიგრაცია არ მოხდება ტერიტორიაზე“ - საერთოდ გაუგებარია რა ცხოველებზეა საუბარი. ბოლოს კი დასკვნის სახით ვკითხულობთ, რომ პროექტი „არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას ჰაბიტატების მთლიანობაზე“. მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება სათანადოდ იყოს შესწავლილი.

10. სკოპინგის ანგარიშში ინფორმაცია ჩასატარებელი საბაზისო კვლევებისა და გზშ-ს ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო მეთოდების შესახებ განხილულია, თუმცა ის ზოგადი სახისაა. არ არის დასახელებული გარემოს თითოეული კომპონენტის შესწავლის მეთოდები. გარემოს თითოეული კომპონენტის შესწავლის პერიოდი (წლის რომელ სეზონში, რომელ თვეებში მოხდება შესწავლა, რამდენი ხანი გაგრძელდება შესწავლა) და მასშტაბი.

11. საჯარო განხილვა

24 მარტს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, რომ მიღებულია გადაწყვეტილება სკოპინგისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშების საჯარო განხილვების გადადებაზე, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის გაუქმებამდე - რაც სრულიად ლოგიკური და სათანადო გადაწყვეტილება იყო არსებულ სიტუაციაში. თუმცა, რამდენიმე დღეში სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება, რომლის თანახმად „საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილებით დამტკიცებული ,,საქართველოს ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების“ მე-5 მუხლის შესაბამისად, იკრძალება საჯარო სივრცეში ფიზიკურ პირთა თავშეყრა 10 პირზე მეტი რაოდენობით“. ამასთანავე, განცხადების თანახმად, „საგანგებო მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, არ ჩერდება ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. შესაბამისად, საჭიროა შეუფერხებლად გაგრძელდეს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” საფუძველზე სამინისტროში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოებები“. განაცხადების თანახმად, ამ გარემოებების გათვალისწინებით, “RMG Gold-ის საყდრისის საბადოზე კარიერებიდან და ფუჭი ქანების სანაყაროებიდან დრენირებული დაბინძურებული წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის

სკოპინგის განცხადებაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება განხორციელდება საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილების მიღება საჯარო განხილვის გარეშე მნიშვნელოვნად აზარალებს პროცესს, ვინაიდან ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობისათვის პროექტის შესახებ ინფორმაციის მიღების ერთადერთი საშუალება სწორედ საჯარო განხილვაა. ვიმედოვნებთ, სადავო არ არის ის გარემოება, რომ სამინისტროს ვებ-გვერდის უკიდურესად არახილვად და ძნელად მისაგნებ განყოფილებაში განცხადების გამოქვეყნებით არ ხდება დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირება. ამდენად, საჯარო განხილვის გაუქმებით სამინისტრო ზღუდავს არა მარტო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობაზე მოქალაქეების უფლებას, არამედ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე უფლებასაც.

ამასთან გაუგებარია, რა კავშირი აქვს განსახილველ პროექტს ინფრასტრუქტურული პროექტების შეუფერხებლად განხორციელების თაობაზე მთავრობის გადაწყვეტილებასთან და რაში მდგომარეობს ის გადაუდებელი აუცილებლობა, რომლის გათვალისწინებით გადაწყვეტილება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსისა და გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის მოთხოვნების უგულებელყოფით უნდა იქნას მიღებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სრულიად უსარგებლოა სამინისტროს ამავე განცხადებასთან ერთად, თითქოსდა, საჯარო განხილვების გაუქმების საკომპენსაციოდ გამოქვეყნებული პრეზენტაცია. გაუგებარია, რაში მდგომარეობს დოკუმენტის დანიშნულება და დამატებითი ღირებულება.